შ.პ.ს. "თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო"

მის: საქართველო, თბილისი, 0071, ს.ჩიქოვანის №14
ტელ.: 236-40-19: 236-34-61
ვებ გვერდი: www.cih.ge ელ-ფოსტა: info@cih.ge

Tbilisi Childrens Infectious Deseases Clinical Hospital LTD

Adr.: 14, S.Chikovani str. 0071 Georgia, Tbilisi
Tel.: 236-40-19: 236-34-61
Web: www.cih.ge E-mail: info@cih.ge

№ 03/109

„11" ივლისი 2015 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბ-ნ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების, მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის "ბ"ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს" მიერ იგეგმება ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით როგორც გადაუდებელი აუცილებლობა. შესყიდვის ღირებულება შეადგენს 582,00 ლარი (ხუთასოთხმოცდაორ) ლარს.

აღნიშნული საკითხი შეთანხმდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან. წერილს თან ერთვის ზემოაღნიშნულ სააგენტოსთან გაგზავნილი შეთანხმების წერილი და მათ მიერ მოწერილი თანხმობა.
დანართი "3" გვერდზე

პატივისცემით,

დირექტორი:

ჯ. ჯანაშია

შ.პ.ს. "თბილისის ბავშვთა
ინფექციური კლინიკური
საავადმყოფო"
მის: საქართველო, თბილისი, 0071, ს.ჩიქოვანის №14
ტელ.: 236-40-19; 236-34-61
ვებ გვერდი: www.cih.ge ელ-ფოსტა: info@cih.ge

Tbilisi Childrens Infectiou
Deseases Clinical Hospita
LTD
Adr.: 14, S.Chikovani str. 0071 Georgia, Tbili
Tel.: 236-40-19; 236-34-61
Web: www.cih.ge E-mail: info@cih.ge

№ 03/165

„ 08 " სექტემბერი 201

სსიპ „სახელმწიფო ქონების
ეროვნულ სააგენტოს"

შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო" -ს მიერ 2015 წლის 1 სექტემბერს, მედიკამენტი - ტრამადოლი-5%,2მლ,#5ამპ. შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი **SPA150023874**, რომელიც დასრულდება 2015 წლის 22 სექტემბერს, ხოლო მთლიანად სატენდერო პროცედურების დასრულებას, შემჭიდროვებულ ვადებში ხელშეკრულების გაფორმების ჩათვლით დასჭირდება დამატებით 7-8 დღე ე.ი. ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები დასრულებულდება 30 სექტემბრისათვის. ამ მომენტისათვის მედიკამენტი - ტრამადოლი-5%,2მლ,#5ამპ.-ის ნაშთი სრულად ამოწურული იქნება, რომელიც დღეის მდგომარეობით დარჩენილია 60 ამპულის ოდენობით და ყოველდღიურად იხარჯება 20-25 ამპულა, ე.ი. მარაგი დარჩენილი გვაქვს 3-4 დღის. ზემოაღნუშნული მედიკამენტის მარაგის ასეთი მკვეთრი ხარჯვა გამოიწვია სექტემბრის თვიდან პაციენტების საგრძნობმა მომატებამ, თუ გადავხედავთ მედიკამენტის ხარჯვის დინამიკას ჩანს რომ ზაფხულის ბოლოსთვის მედიკამენტი - ტრამადოლი-5%,2მლ,#5ამპ. -ის ნაშთი შეადგენდა 110 ამპულას, და სექტემბრის დასაწყისიდან დღემდე დახარჯულ იქნა 50 ამპულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საავადყოფოში შეიქმნა მედიკამენტი - ტრამადოლი-5%,2მლ,#5ამპ.-ის შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობა მინიმალური 60 კოლოფი (300 ამპულა) ოდენობით (ღირებულება 582,00 ლარი) რაც საკმარისი იქნება სატენდერო და ხელშეკრულების გაფორმების პროცედურების დასრულების მომენტისათვის.

ვთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული მდგომარეობა და დაგვრთოთ ნება ტენდერის პროცედურების დასრულებამდე განავოხრციელოთ მინიმალური საჭირო ოდენობის მედიკამენტი - 60 კოლოფი ტრამადოლი-5%,2მლ,#5ამპ.-ის შესყიდვა გაპარტივებული შესყიდვის საშუალებით, როგორც გადაუდებელი აუცილებლობა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10

მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველ'ზე. შესყიდვის ღირებულიბაა 582,00 (ხუთასოთხმოცდაორი)ლარი.

აქვე ავღნიშნავთ, რომ მედიკამენტი შესყიდული იქნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი პირობების სრული დაცვით.

პატივისცემით

შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური
კლინიკური საავადმყოფო“-ს
დირექტორი

ჯონდო ჯანაშია

KA021771690787115

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/53934

10 / სექტემბერი / 2015 წ.

შპს "თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოს"

თქვენს 08.09.2015 წ. №03/105 (შემოსვ. №76001/04, 09.09.2015 წ.) წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011 წლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი, 60 (სამოცი) კოლოფი მედიკამენტი ტრამადოლის შესყიდვა (ასეთ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადებს და შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი შესყიდვის განხორციელების გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობა) განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, არაუმეტეს სატენდერო განაცხადში განსაზღვრული ფასისა.

ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულის თაობაზე დაუყონებლივ უნდა აცნობოთ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. ასევე, უნდა იმოქმედოთ საწარმოს ინტერესების და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ სახელმწიფო შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას უნდა განხორციელდეს ამ თანხმობის მიღებიდან გონივრულ ვადაში. პასუხისმგებლობა კანონმდებლობისა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური